# გორის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის სტრატეგია

*გადაწყვეტილების მიღების პროცესში*

*სამოქალაქო ჩართულობის(CPT) მექანიზმის მიხედვით*



დაკო მურადაშვილი
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი | ევროპის საბჭო

# შინაარსი

შესავალი ........ 2
მონაწილეობის დონეები ........ 3
მეთოდოლოგია ........ 4
ინფორმირებულობის დონე ........ 8
კონსულტირება ........ 10
დიალოგი ........ 11
პარტნიორობა ........ 12
ინსტიტუციონალური მონაწილეობა ........ 14
გამოყენებული რესურსები: ........ 17

# შესავალი

ევროპის საბჭოსა და გორის მუნიციპალიტეტს შორის 2022 წლის 22 სექტემბერს დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც გორის მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება: უზრუნველყოს სტრატეგიებში, პოლიტიკის დოკუმენტებსა და პრაქტიკაში სამოქალაქო მონაწილეობის ევროპული სტანდარტებისა და ინსტრუმენტების ინტეგრირება, კერძოდ წევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2018)4 ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ, სახელმძღვანელო მითითებები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის კარგი პრაქტიკის კოდექსი; გააძლიეროს ადგილობრივ დონეზე ქმედებები, რათა მოქალაქეები აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ხელი შეუწყოს სამოქალაქო მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე; მონაწილეობა მიიღოს გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების აქტივობებში, ადგილობრივ გამოწვევებსა და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ახალი სტანდარტების, ინოვაციური პრაქტიკისა და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით; მონაწილეობა მიიღოს ევროპის საბჭოს პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ აქტივობებში ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და ინსტრუმენტების პოპულარიზაციით და კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარების გზითევროპის საბჭოს პროექტის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტში მოხდა ევროპის საბჭოს „გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმის“ დანერგვა. მექანიზმი გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებისთვის.

საქართველოს მთავრობის #264 განკარგულების მიხედვით ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სტრატეგიული დოკუმენტების მონაწილეობითი მიდგომებითშემუშავება. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სტრატეგიის დოკუმენტის საჭიროება ასევე ასახულია დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025ში.

**„გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმის“** [1]გამოყენების შედეგად გორის მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა შეაფასოს ადგილობრივი თემის დამოკიდებულება, რამდენად არის მზად ჩაერთოს სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში, იდენტიფიცირება მოახდინოს დაინტერესებული მხარეების, განსაზღვროს დაინტერესებული მხარეების ინტერესი და რელევანტურობა, მათ შესაბამისი ჩართულობის დონე და შეიმუშაოს მონაწილეობის სტრატეგია, რის მიხედვითაც განსაზღვრავს სწორი კომუნიკაციის ფორმებსა და მექანიზმებს ჩართულობის უზრუნველსაყოფად

[1]გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქოჩართულობის მექანიზმი

# მონაწილეობის დონეები

„გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმის“ მიხედვით მონაწილეობის დონეები განისაზღვრება **ინფორმირებულობის, კონსულტირების, დიალოგის და პარტნიორობის** დონეებად

იმისათვის, რომ მოხდეს შერჩევა რა ხარისხით არის საჭირო მოქალაქეთა ჩართვა გორის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს რამდენად შეუძლია მონაწილე მხარეებს გავლენის მოხდენა კონკრეტულ საკითხზე, რა სახის კონტრიბუცია გვინდა მათგან და შესაბამისად რა სახის კომუნიკაციაა საჭირო.

- **ინფორმირება** არის მონაწილეებთან ცალმხრივი კომუნიკაციის დონე;

  მეთოდოლოგიის მიხედვით, ამ დონეზე მოხვედრილი დაინტერესებული მხარეები ხასიათდებიან დაბალი ინტერესით და ასევე აღქმული დაბალი რელევანტურობით
- **კონსულტაცია** არის მოქალაქეებისგან უკუკავშირის მიღება ორმხრივი კომუნიკაციით არსებული საჭიროებების, პრობლემური საკითხის გადაჭრის შესაძლებლობების, სამოქმედო გეგმების/სერვისების/პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ. ამ დონეზე მოხვედრილ დაინტერესებულ მხარეებს აქვთ მაღალი ინტერესი, ხოლო დაბალი მათი აღქმული რელევანტურობა
- **დიალოგი** არის მონაწილეებისგან ორმხრივი ან დელიბერაციული კომუნიკაციით ახალი იდეებისა და შეთავაზებების მიღება არსებული საჭიროებების, სამოქმედო გეგმების/სერვისების/პოლიტიკის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ .
- **პარტნიორობა** ეს არის გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღება და საქმიანობის ურთიერთთანამშრომლობით განხორციელება დელიბერაციული კომუნიკაციის გზით

*დანართი 1. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაციის ტაქსონომია*



- დანართი 1. წარმოდგენილ ტაქსონომიაზე წყვეტილი ხაზი **„ინსტიტუციონალური მონაწილეობა“,** რომელიც ოთხი კვადრატის გასაყარზე გადის, **წარმოადგენს სავალდებულო მონაწილეობის დონეს** და, შესაბამისად არის მოძრავი ფუნქციონალურობის აღქმულ პარამეტრებთან ან ინტერესის დონესთან შედარებით კერძოდ იგი ასახავს იმ ტიპის ინსტიტუციონალურ აქტორებს, რომელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვაც აუცილებელია (კანონის ან ინსტიტუციონალური მოწყობის შესაბამისად), მიუხედავად იმისა, თუ რა ინტერესი აქვთ მათ მოცემული თემის მიმართ ან რა წვლილის შეტანა შეუძლიათ აღნიშნულ პროცესში.

## მეთოდოლოგია

გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმის გამოყენების მიზნით გორის მუნიციპალიტეტში, მერის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელთა აქტიური ჩართულობით მოხდა ადგილობრივი თემის შეფასება, დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია და მათი შეფასება.

სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებულია შემდეგი სფეროების და სამსახურების წარმომადგენლებისგან:

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები

ევროპის საბჭოს ექსპერტი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტყისა და თემის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

მერიის ეკონომიკის სამსახური

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამუშაო ჯგუფის წევრები დეტალურად გაეცნენ მეთოდოლოგიას.

სამუშაო ჯგუფის წევრების და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდა წინამოსამზადებელი სამუშაოები, მოხდა ბაზების და სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება.

**„სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმი გადაწყვეტილების მიღების პროცესში“** რამდენიმე ეტაპისგან შედგება და მოიცავს ადგილობრივი თემის შეფასებას, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაციას და მათ შეფასებას, სტრატეგიების შემუშავებას დაინტერესებული მხარეებისთვის.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად შემუშავებულ კონტექსტზე დაფუძნებულ სტრატეგიას, რომელიც გამოყენებული იქნება სამოქალაქო ჩართულობის გასაძლიერებლად გორის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნის ყველა ეტაპზე.

წარმოდგენილი სტრატეგია მუნიციპალიტეტს მისცემს იმის შესაძლებლობას , რომ განსაზღვროს ის რელევანტური ქმედებები,რაც უნდა იქნას განხორციელებული ადგილობრივ დონეზე, რათა მონაწილეობის პროცესი ეფექტურად წარიმართოს და მასში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურად ფართო სპექტრი იქნას ჩართული.

## პირველი ეტაპი. ადგილობრივი თემის შეფასება

მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურად კონტექსტუალიზაციის მიზნით, პირველ რიგში, სამუშაო ჯგუფის მიერ შეფასდა გორის მუნიციპალიტეტის თემი. შეფასების მიხედვით გაირკვა, რამდენად არის ადგილობრივი თემის დაინტერესება ჩაერთოს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

შეფასების მიხედვით, თემის შეფასების საშუალო ქულა 0.67

აღნიშნული უზრუნველყოფს თითოეული განზომილების კონტექსტის მიხედვით განსაზღვრული რელევანტურობის ასახვას დაინტერესებული მხარეების შეფასებისას.

თემი: გორი

| სოციალური კაპიტალი | ეკონომიკური კაპიტალი |
|---|---|
| 0.6875 | 0.5625 |
| **ადამიანური კაპიტალი** | **პოლიტიკური კაპიტალი** |
| 0.8125 | 0.625 |

თემის შეფასების საშუალო ქულა: 0.671875

Go to Step 2

*დიაგრამა.3 თემის შეფასების შედეგები*

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეფასებისას სამუშაო ჯგუფი დაეყრდნო წინასწარ მოძიებულ ინფორმაციას, შეგროვილ მონაცემებსა და ბაზებს.[2]

| | განზომილებები | უაღრესად უარყოფითი | უარყოფითი | არც არის რელევანტური | დადებითი | უაღრესად დადებითი | ქულა თითოეულ განზომილებაში |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (1) სოციალური კაპიტალი | | | | | | 0.7 |
| 1 | მოსახლეობის წილი, რომელიც ამ ქალაქში საცხოვრებლად გადმოვიდა ბოლო 5 წლის განმავლობაში | | x | | | | |
| 2 | მოსახლეობის წილი, რომელმაც ბოლო 5 წელიწადში დატოვა ეს ქალაქი და სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად | | | x | | | |
| 3 | 30-დან 60 წლამდე ასაკის ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სხვა ქალაქებში/სოფლებში დადიან სამუშაოდ | | | | X | | |
| 4 | მოსახლეობის წილი, რომელიც უმცირესობას წარმოადგენს | | x | | | | |
| 5 | 30 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი | | | | | X | |
| 6 | ინტერნეტზე წვდომის მქონე მოსახლეობის წილი | | | | | X | |
| 7 | აქტიური სამოქალაქო ორგანიზაციები | | | | | X | |
| 8 | ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციების/ასოციაციების აქტივობებში აქტიური მონაწილეობის ვარიაცია | | | | x | | |
| | (2) ეკონომიკური კაპიტალი | | | | | | 0.6 |
| 9 | საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით | | | | x | | |
| 10 | უმუშევრობის მაჩვენებელი | | X | | | | |
| 11 | ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი (30 წლამდე ასაკის პირები) | x | | | | | |
| 12 | მდედრობითი სქესის სამუშაო ძალა | | | | X | | |
| 13 | პოტენციურად რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები | | | | x | | |
| 14 | აბსოლუტურ სიღარიბეში მცხოვრები ოჯახები | | | X | | | |
| 15 | თვითდასაქმებული ქალები | | | | X | | |
| 16 | 30 წლამდე ასაკის თვითდასაქმებულები | | | | X | | |
| | (3) ადამიანური კაპიტალი | | | | | | 0.8 |
| 17 | 18-დან 63 წლამდე ასაკის ადამიანები მოსახლეობაში, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა; | | | x | | | |
| 18 | 18-დან 60 წლამდე ასაკის ქალები მოსახლეობაში, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა; | | | | x | | |
| 19 | ბოლო 15 წლის განმავლობაში სამოქალაქო განათლების საგნის არსებობა სკოლის სავალდებულო სასწავლო პროგრამაში | | | | x | | |
| 20 | პროფესიონალიზმი | | | | x | | |
| 21 | ციფრული კომპეტენციების მქონე მოსახლეობა | | | | X | | |
| 22 | მოხალისეობრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართული მოსახლეობა | | | | | X | |
| 23 | უწყვეტი სწავლის შესაძლებლობათა არსებობა | | | | | X | |
| 24 | უწყვეტი სწავლის შესაძლებლობათა ხელმისაწვდომობა | | | | | x | |
| | (4) პოლიტიკური კაპიტალი | | | | | | 0.6 |
| 25 | ელექტორატი, რომელმაც ხმა მისცა ბოლო არჩევნებში | | | | x | | |
| 26 | პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსახლეობის წილი | | | | x | | |
| 27 | პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული ქალების წილი | | | | | x | |
| 28 | პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული უმცირესობათა წამომადგენლების წილი | | x | | | | |
| 29 | ადგილობრივი საკრებულოს წევრი ქალები | | | | X | | |
| 30 | მოქალაქეთა აქტიურობა საჯარო პოლიტიკურ დებატებში/ღონისძიებებში მონაწილეობის კუთხით | | x | | | | |
| 31 | მოწყვლადი ჯგუფების ინტერესთა წარმომადგენლობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში | | | x | | | |
| 32 | მოქალაქეთა ჩართულობის დონე მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების არსებულ პროცესებში | | | | x | | |

*დანართი 2. თემის შეფასების ცხრილი*

## მეორე ეტაპი. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და შეფასება

---

[2] დაილინკება კვლევის შედეგები

სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა სფეროს, ასაკის, სქესის და კატეგორიის წარმომადგენლებიდან. შერჩეული 30 დაინტერებული მხარეები წარმოდგენილნი არიან:

ინსტიტუციური, სამოქალაქო საზოგადოებიდან და კერძო სექტორიდან.

| დაინტერესებული მხარე | რელევანტური | ინტერესი |
|---|---|---|
| ოფელია მაკრახიძე | 0.3 | 0.5 |
| ოთო გვრიტიშვილი | 0.5 | 0.6 |
| ელენე მინდიაშვილი | 0.3 | 0.4 |
| ზურა გოჯიაშვილი | 0.4 | 0.4 |
| კულა | 0.5 | 0.4 |
| ნინო გიორგაძე | 0.4 | 0.4 |
| მარიკა მღებრიშვილი | 0.4 | 0.5 |
| სიმონ გულედანი | 0.6 | 0.6 |
| ლია მამულაშვილი | 0.5 | 0.6 |
| ლევან მუმლაძე | 0.4 | 0.5 |
| დავით ჩერქეზიშვილი | 0.2 | 0.4 |
| მედეა პავლიაშვილი | 0.4 | 0.4 |
| ეკა სუხიშვილი | 0.5 | 0.5 |
| სოსო ენუქაშვილი | 0.4 | 0.4 |
| ზურაბ ჯირკველიშვილი | 0.6 | 0.5 |
| თინა ბრეგვაძე | 0.4 | 0.4 |
| მამუკა ზოლოტარიოვი | 0.2 | 0.4 |
| ჯუნა შიუკაშვილი | 0.2 | 0.3 |
| სოსო მეზვრიშვილი | 0.5 | 0.6 |
| სოფიო ჯიქური | 0.4 | 0.6 |
| მერაბ გოხელაშვილი | 0.3 | 0.3 |
| გიორგი გოგინაშვილი | 0.3 | 0.4 |
| ნანა ტერმაკოზაშვილი | 0.5 | 0.5 |
| ნინო ყანჩაველი | 0.3 | 0.3 |
| მიშა ჩიტაძე | 0.4 | 0.5 |
| თეკლა ხაჩიძე | 0.3 | 0.4 |
| დაკო მურადაშვილი | 0.5 | 0.6 |
| ნონა თათეშვილი | 0.4 | 0.4 |
| თეა თედელური | 0.5 | 0.4 |
| თამარ სოსიაშვილი | 0.4 | 0.4 |

მეთოდოლოგიის მიხედვით მოხდა თითოეული იდენტიფიცირებული დაინტერესებული მხარის შეფასება მათი რელევანტურობისა და საკითხისადმი ინტერესის მიხედვით შეფასების შედეგები წარმოდგენილია დანართ 3. ვიზუალიზაციის სახით

*დანართი 3. დაინტერესებული მხარეების ვიზუალიზაცია*




*დიაგრამა 4. დაინტერესებული მხარეების ვიზუალიზაცია*

## ინფორმირებულობის დონე

დაინტერესებული მხარეებს, რომლებიც ამ კვადრატში მოხვდნენ  ახასიათებთ დაბალი აღქმული ინტერესი და რელევანტურობა გორის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართულობის მიმართ

მექანიზმის მიხედვით აღნიშნული ვრცელდება როგორც შეფასების შედეგად ამ კვადრატში დატანილ კონკრეტულ დაინტერესებულ მხარეებზე, ისე ფართო საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც აღნიშნული დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ.

გამომდინარე იქედან, რომ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა ეტაპს გულისხმობს, დაგრამაზე დატანილი დაინტერესებული მხარეების შემთხვევაში, მონაწილეობის პროცესის განსაზღვრა შესაძლებელია გადაწყვეტილების **მიღების ყველა ეტაპისთვის.**

*ცხრილი 1. სტრატეგია ინფორმირებულობის დონეზე*[3]

| პრიორიტეტების დადგენა: | გადაწყვეტილების მომზადება: | გადაწყვეტილების მიღება: | იმპლემენტაცია: | მონიტორინგი: | შესწორებების შეტანა: |
|---|---|---|---|---|---|
| ცოდნის გაზიარება და ცნობიერების ამაღლება პრიორიტეტების დადგენის მიზნით გამოყენებული მეთოდოლოგიის, მონაწილე აქტორების და გათვალისწინებული ძირითადი საკითხების შესახებ; | გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ე.ი. ყველა რელევანტური და საჯარო დოკუმენტი (ე.ი. დოკუმენტები, რომლებიც არარის დაშიფრული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე) ხელმისაწვდომი უნდა იყოს კონსულტაციისთვის; | მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის სწრაფად მიწოდება; | ყველა განხორციელებული პროცედურის მართვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; | გამოყენებული ინდიკატორებისა და კრიტერიუმების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და საჭირო გაუმჯობესებებთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოსთვის უკუკავშირის მიწოდების საშუალების უზრუნველყოფა; | ყველას უნდა ჰქონდეს უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობა და დეტალურად უნდა იქნას განმარტებული, თუ როგორ გაითვალისწინა ხელისუფლების ორგანომ უკუკავშირი და ექსპერტთა შეფასებები ახალი პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში. |

[3] https://rm.coe.int/1680686b1b

**ინფორმირების დონეზე, დაინტერესებული მხარეების ასევე ფართო საზოგადოების მიმართ შესაძლო განხორციელდეს აქტივობები,სხვადასხვა ფორმების ,ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიების გამოყენებით**

ინფორმაციის გავრცელების საშუალებები და საკომუნიკაციო არხები განსხვავდება დაინტერესებული მხარეების უნარების და მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე: გორის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოყენებული იქნას სხვადასხვა მეთოდები სხვადასხვა დაინტერესებული მხარესთვის

| დაინტერესებული მხარე/მოსახლეობა | აქტივობა | ინფორმაციის გავრცელების საშუალებები |
|---|---|---|
| **ახალგაზრდები** | • გორის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება<br>• იდეების მოწყობა<br>• მოდელირება | • სოციალური მედია, ელ.პლატფორმები, სხვადასხვა სოციალური მედიის ჯგუფები და სასაუბროები, მერიის ახალგაზრდული განყოფილებაში არსებული ახალგაზრდული ბაზები- „ბეიჯვორკის" სისტემაში მყოფი ახალგაზრდები, ლიდერთა ლიგა, ახალგაზრდული საბჭო, საბჭოს წევრები |
| მცირე მეწარმეები/ადგილობრივი ბიზნესი | • პრეზენტაციაზე მოწვევა<br>• საინფორმაციო შეხვედრის გამართვა | • შეხვედრის საჯაროობის უზრუნველყოფა<br>• დოკუმენტებისა და ინფორმაციის მომზადება საჯარო განხილვის შესახებ. |
| პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი | • პრეზენტაციაზე მიწვევა<br>• განახლებული ინფორმაციის მიწოდება | • პირადი კომუნიკაცია<br>• ელფოსტის მეშვეობით |
| არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები | • განახლებული ინფორმაციის მიწოდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიმდინარე განვითარებების შესახებ, საინფორმაციო ბიულეტენის საშუალებით, რომელიც ელ ფოსტით საფოსტო მისამართზე გაიგზავნება; | • დღის წესრიგების, ანგარიშების და სხვა რელევანტური მასალების გამოქვეყნებას ონლაინ სივრცეში, საჯარო ხელისუფლების ორგანოს ვებგვერდზე ან სოციალურ მედიაში; |

| | | |
|---|---|---|
| | | |

## კონსულტირება

*ცხრილი 2. სტრატეგია კონსულტირების დონეზე*

| პრიორიტეტების დადგენა: | გადაწყვეტილების მომზადება: | გადაწყვეტილების მიღება: | იმპლემენტაცია: | მონიტორინგი: | შესწორებების შეტანა: |
|---|---|---|---|---|---|
| დაინტერესებული მხარეების ჩართვა საჭიროების შეფასების პროცედურაში, კონკრეტული თემის შესახებ მათი ცოდნისა და შეხედულებების თავმოყრის მიზნით | პრიორიტეტების დადგენისას ჩატარებული საჭიროებების შეფასების ფარგლებში დაინტერესებული მხარეებისგან მოპოვებული ინფორმაციის ინტეგრირების უზრუნველყოფა; | დაინტერესებული მხარეებისათვის უკუკავშირის წარდგენისა და პასუხების/განმარტებების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; | დაინტერესებული მხარეებისათვის იმპლემენტაციის პროცესში ჩართვის შეთავაზება, რათა მათ განმარტონ, თუ რა არ მოსწონთ/რას ეწინააღმდეგებიან, ითხოვონ განმარტებები გამოყენებულ მეთოდოლოგიებთან და პროცედურებთან დაკავშირებით | დაინტერესებული მხარეებისათვის იმპლემენტაციის პროცედურის შესახებ უკუკავშირის წარდგენის შესაძლებლობის მიცემა, რათა მათ ხელისუფლების ორგანოს გაუზიარონ თავიანთი იდეები, მოსაზრებები განსახორციელებელ ცვლილებებზე და ხაზი გაუსვან დაბრკოლებებს; | დაინტერესებული მხარეებისგან მონიტორინგის ეტაპზე მიღებული მოსაზრებების ინტეგრაცია პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნითმისი ხელახლა განსაზღვრის პროცესში. |

კონსულტირების დონეზე, დაინტერესებული მხარების ასევე ფართო საზოგადოების მიმართ შესაძლოა განხორციელდეს აქტივობები,სხვადასხვა ფორმების ,ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიების გამოყენებით

| დაინტერესებული მხარე/მოსახლეობა | აქტივობა | კონსულტაციის საშუალებები |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| სხვადასხვა აქტორები | **სამოქალაქო ლაბორატორია ( CIVIC LAB)**[4] | საკონსულტაციო შეხვედრის გამართვა |
| ახალგაზრდები | ონლაინ კითხვარის გამოყენება<br><br>ცნობიერების ამაღლების ტრენინგები | კითხვარის შედეგებზე უკუკავშირის მომზადება |
| იმ აქტორებისთვის, რომელთაც არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა | მატერიალური სახით მოხდეს მათი გამოკითხვა | საჭიროებების შეფასების კითხვარისა და უკუკავშირის ფორმების მატერიალური სახით დარიგება საჯარო შეკრების ადგილებზე |

## დიალოგი

| პრიორიტეტების დადგენა: | გადაწყვეტილების მომზადება: | გადაწყვეტილების მიღება: | იმპლემენტაცია: | მონიტორინგი: | შესწორებების შეტანა: |
|---|---|---|---|---|---|
| დაინტერესებული მხარეების ჩართვა პრიორიტეტების განსაზღვრაში, თემის შესახებ მათი ცოდნის და/ან გავლენის საფუძველზე; | სტრატეგიის/პოლიტიკის სამუშაო ვერსიის გადახედვის პროცესში სხვადასხვა მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა; | დაინტერესებული მხარეებისათვის უკუკავშირის წარდგენისა და პასუხების/განმარტებების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; | დაინტერესებული მხარეები მონაწილეობას უნდა იღებდნენ იმპლემენტაციის მიზნით განხორციელებულ ქმედებებში, სამოქალაქო საზოგადოებასა და ეკონომიკურ სექტორში მათი | დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეძლეოდეთ უკუკავშირი იმპლემენტაციის პროცესთან და პროცედურებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეტაპებზე/მეთოდოლოგიებზე; | დაინტერესებული მხარეები უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკის გადახედვის პროცესში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი რეკომენდაციები პოლიტიკის |

[4] CIVICLAB მეთოდოლოგია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | როლისა და კომპეტენციების საფუძველზე; | | გაუმჯობესების შესახებ. |

**სკოლის დონეზე, დაინტერესებული მხარების ასევე ფართო საზოგადოების მიმართ შესაძლოა განახორციელოს აქტივობები,სხვადასხვა ფორმების ,ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიების გამოყენებით**

| დაინტერესებული მხარე/მოსახლეობა | აქტივობა | სკოლის საშუალებები |
|---|---|---|
| | - ფოკუს ჯგუფი | |
| | - ნეთვორქინგის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება | |
| | - საბჭოს შექმნა,რომელიც უზრუნველყოფს პერიოდულად სკოლის დონეზე მყოფი დაინტერესებული მხარეების პერიოდულ შეკრებას. | |

## პარტნიორობა

| პრიორიტეტების დადგენა: | გადაწყვეტილების მომზადება: | გადაწყვეტილების მიღება: | იმპლემენტაცია: | მონიტორინგი: | შესწორებების შეტანა: |
|---|---|---|---|---|---|
| დაინტერესებული მხარეების ჩართვა პრიორიტეტების განსაზღვრაში, მოცემული თემის შესახებ მათი ცოდნის და/ან გავლენის საფუძველზე; მათთან კონსულტაციის გავლით მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით მათ, ასევე, უნდა ეთხოვოთ სხვა რელევანტური დაინტერესებული მხარეების ჩართვა | გადაწყვეტილება უნდა მომზადდეს თანამშრომლობის საფუძველზე. დაინტერესებულმა მხარეებმა, შესაძლოა, მონაწილეობა მიიღონ მათი კომპეტენციის შესაბამისი ნაწილის მომზადებაში; | გადაწყვეტილების დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მიღების უზრუნველყოფა. მაგალითად შესაძლოა არსებობდეს სპეციალიზებული მუდმივი კომიტეტი; | დაინტერესებული მხარეების ჩართვა ქმედებებისა და მეთოდოლოგიების განხორციელებაში. მათ, შესაძლოა, დაევალოთ იმპლემენტაციის ფაზასთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების განხორციელება; | დაინტერესებული მხარეების ჩართვა მონიტორინგის მეთოდოლოგიის განსაზღვრაში და მონიტორინგის ქმედებებში (აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია სპეციალიზებული სამუშაო კომიტეტის შექმნის გზით); | დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა პოლიტიკის გაუმჯობესების პროცესში. |

**პარტნიორობის დონეზე, დაინტერესებული მხარების ასევე ფართოსაზოგადოების მიმართშესაძლოა განხორციელდეს აქტივობები,სხვადასხვა ფორმების ,ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიების გამოყენებით**

| დაინტერესებული მხარე/მოსახლეობა | აქტივობა | პარტნიორობის საშუალებები |
|---|---|---|
| | • სამუშაო ჯგუფში ჩართვა<br>• მემორანდუმის გაფორმება<br>• პარტნიორობის შეთანხმება<br>• კონკრეტული პასუხისმგებლობების გაზრება და გაწერა<br>• | |

## ინსტიტუციონალური მონაწილეობა

მეთოდოლოგიის მიხედვით,ინსტიტუციონალური მონაწილეობა“,ეს არის იმ დაინტერესებული მხარეების კატეგორია,რომლებიც მოხვდებიან მონაწილეობის ოთხი კვადრატის გასაყარზე. ეს წარმოადგენს სავალდებულო მონაწილეობის დონეს და, შესაბამისად არ არის მოძრავი ფუნქციონალურობის აღქმულ პარამეტრებთან ან ინტერესის დონესთან შედარებით

კერძოდ იგი ასახავს იმ ტიპის ინსტიტუციონალურ აქტორებს, რომელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვაც აუცილებელია მიუხედავად იმისა, თუ რა ინტერესი აქვთ მათ მოცემული თემის მიმართ ან რა წვლილის შეტანა შეუძლიათ აღნიშნულ პროცესში. გორის მუნიციპალიტეტის მიერ შეფასებულ დაინტერესებულ მხარეებში ასეთ კატეგორიაში განიხილებიან,შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

**დ.კომურადშვილი, ოთო გვრიტიშვილი, ლია მამულაშვილი, სოსო მეზვრიშვილი, ეკა სუხიშვილი, ნანა ტურმაკოზაშვილი, მიშა ჩიტაძე, მარიკა მღებრიშვილი, სოსო ენუქაშვილი, თეკლე ხაჩიძე, მედეა პავლიაშვილი, კული, მერაბ გოხელაშვილი**



აღნიშნულის გათვალისწინებით სასურველია ეს დაინტერესებული მხარეები აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე. მიეწოდოთ ინფორმაცია, მოხდეს მათთან კონსულტაცია და ჩართვა სამუშაო ჯგუფში.

*ცხრილი. მონაწილეობის სტრატეგია*

| მონაწილეობის დონე | დაინტერესებული მხარეები | სტრატეგიები | სარგებელი |
|---|---|---|---|
| ინფორმირებულობა | ✚ ნინო ყანჩაველი<br>✚ ჯენა შიუკაშვილი<br>✚ თამარ სესიაშვილი<br>✚ ზურაბ გოჯიაშვილი<br>✚ მამუკა ზოლოტაროვი<br>✚ თეკლე ხაჩიძე<br>✚ გიორგი გოგინაშვილი<br>✚ დავით ჩერქეზიშვილი<br>✚ მედეა პავლიაშვილი<br>✚ ლევან მოსიძე<br>✚ ნინო გიორგაძე<br>✚ მიშა ჩიტაძე<br>✚ კოკა (ივანე გოგოლაძე) | ✚ ღია თვითმმართველობა (Open House)[5]<br>✚ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა<br>✚ საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა<br>✚ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა მედია საშუალებებით<br>✚ ვიზუალური ინფოგრაფიკების მომზადება<br>✚ მედია კამპანიის წარმოება<br>✚ ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება | ✓ საკითხის მიმართ იზრდება ინტერესი<br>✓ დამატებითი მონაწილეობის მსურველების გამოვლენა |
| კონსულტაცია | ✚ ზურაბ ჯორკველიშვილი<br>✚ ნანა ტერმაკოზაშვილი<br>✚ ეკა სუხიშვილი | ✚ ფოკუს ჯგუფი<br>✚ სამოქალაქო ლაბორატორია<br>✚ ონლაინ გამოკითხვა | ✓ კონკრეტული მოსაზრებების მიღება |

5 მოქალაქეთა მონაწილეობის სახელმძღვანელო, გვ.111

| | | | |
|---|---|---|---|
| | - თეა თედელური | | - ფოკუსირებული რეკომენდაციები |
| დიალოგი | - მარიკა მღებრიშვილი<br>- სოფია ჯიქური | - ნეტვორქინგის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება<br>- პირისპირშეხვედრების ორგანიზება | თანამშრომლობის გაღრმავება |
| პარტნიორობა | - დაკომურადაშვილი<br>- სოსომეზვრიშვილი<br>- სიმონ გულედანი<br>- ოთოგვრიტიშვილი<br>- ლია მამულაშვილი | - მემორანდუმის გაფორმება<br>- პარტნიორობის შეთანხმება<br>- კონკრეტული პასუხისმგებლობების გააზრება და გაწერა | - გარანტირებული თანამშრომლობა გადაწყვეტილების მიმართ საკუთრების განცდა<br>- კომპეტენციების და უნარების, როგორც რესურსის გამოყენება |
| ინსტიტუციური მონაწილეობა | | საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტზე მომუშავე მულტიმოქმედ სამუშაო ჯგუფში ჩართვა | |

## გამოყენებული რესურსები:


https://civilin.org/wp-content/uploads/2022/11/Handbook_on_Public_Participation_for_municipalities.pdf

https://rm.coe.int/-mapping-deliberate-democracy/1680a87f84

https://rm.coe.int/guidelines-for-civil-participation-in-political-decision-making-%20en/16807626cf

European experience of citizens’ participation in cross-border governance, Council of Europe: Strasbourg. Available https://rm.coe.int/1680686b1b

https://www.coe.int/en/web/good-governance/centre-of-expertise